შავის ზღვის სანაპიროზე

ლესელიძე. თბილისის “დინამოს” ოსტატები 25 მარტს შეხვდნენ გორკის “ტორპედოს”. წვიმის შედეგად ატალახებული მოედანი საგრძნობლად ართულებდა თამაშს. მატჩის დაწყებიდან ცოტა ხნის შემდეგ თბილისელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა კალოევმა მარჯვენა მხრიდან მიიღო გადაცემა კ. გაგნიძისაგან და თავით გაიტანა პირველი ბურთი. რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ კალოევმა ანგარიში ორამდე გაზარდა.

მეორე ნახევარში ტორპედოელებმა ერთი ბურთი გაქვითეს. მატჩი დამთავრდა თბილისის “დინამოს” გამარჯვებით, ანგარიშით 2:1.

გ. ანთაძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი.
28 მარტი, 1954 წ.